

2016 წლის დეკემბერში თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე ჩატარდა სტუდენტთა გამოკითხვა. გამოკითხვაში მონაწილეობდა პირველიდან მეოთხე კურსის ჩათვლით სტუდენტები. კითხვარი შედგებოდა 15 კითხვისგან, რომელიც უნივერსიტეტმა განსაზღვრა, სტუდენტებს ასევე საშუალება მიეცათ თავისუფლად გამოეხეტათ საკუთარი აზრი ღია კითხვის მეშვეობით: „გთხოვთ ჩამოაყალიბოთ პუნქტობრივად, რა არ მოგწონთ თქუ -ში, რის გამოსწორებას ისურვებდით და როგორ“ .

სულ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 70-მა სტუდენტმა,

- **კითხვაზე:** თქვენი აზრით, უზრუნველყოფს თუ არა საგანმანათლებლო პროგრამა თეორიული ცოდნის მიღებასა და პრაქტიკული უნარების განვითარებას? **დადებითად უპასუხა (სრულად/ნაწილობრივ) 92 %-მა, ხოლო უარყოფითად (იშვიათად/არა) 8 %-მა.**
- **კითხვაზე:** თქვენი აზრით, უზრუნველყოფს თუ არა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შრომის ბაზრის მოთხოვნილებებს? **დადებითად უპასუხა (სრულად/ნაწილობრივ) 88 %-მა, ხოლო უარყოფითად (იშვიათად/არა) 12 %-მა.**
- **კითხვაზე:** თქვენი აზრით, საკმარისია თუ არა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შემდგომ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად? **დადებითად უპასუხა (სრულად/ნაწილობრივ) 88 %-მა, ხოლო უარყოფითად (იშვიათად/არა) 12 %-მა.**
- **კითხვაზე:** მიგაჩნიათ, თუ არა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული სასწავლო კურსებისათვის განკუთვნილი კრედიტების რაოდენობა საკმარისია შესაბამისი კვალიფიკაციის მისაღებად? **დადებითად უპასუხა (სრულად/ნაწილობრივ) 80 %-მა, ხოლო უარყოფითად (იშვიათად/არა) 20 %-მა.**
- **კითხვაზე:** მიგაჩნიათ, თუ არა, რომ პროფესორ-მასწავლებლები იყენებენ სწავლების თანამედროვე მეთოდებს? **დადებითად უპასუხა (სრულად/ნაწილობრივ) 77 %-მა, ხოლო უარყოფითად (იშვიათად/არა) 23 %-მა.**
- **კითხვაზე:** მიგაჩნიათ თუ არა, რომ არსებული შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე? **დადებითად უპასუხა (სრულად/ნაწილობრივ) 71 %-მა, ხოლო უარყოფითად (იშვიათად/არა) 29 %-მა.**
- **კითხვაზე:** არსებობს თუ არა სტუდენტთა მომსახურების სამსახური? **დადებითად უპასუხა (სრულად/ნაწილობრივ) 71%-მა, ხოლო უარყოფითად (იშვიათად/არა) 29 %-მა.**
- **კითხვაზე:** გთავაზობთ თუ არა უნივერსიტეტი დამატებით მომსახურებას (სპორტი და სხვ)? **დადებითად უპასუხა (სრულად/ნაწილობრივ) 30 %-მა, ხოლო უარყოფითად (იშვიათად/არა) 70 %-მა.**

- **კითხვაზე:** ღებულობთ თუ არა რეგულარულად ინფორმაციას არსებული სტიპენდიებისა ან გაცვლითი პროგრამების შესახებ? **დადებითად უპასუხა (სრულად/ნაწილობრივ) 40 %-მა, ხოლო უარყოფითად (იშვიათად/არა) 60 %-მა.**
- **კითხვაზე:** ღებულობთ თუ არა საჭირო კონსულტაციას აკადემიური პერსონალისაგან? **დადებითად უპასუხა (სრულად/ნაწილობრივ) 43%-მა, ხოლო უარყოფითად (იშვიათად/არა) 57 %-მა.**
- **კითხვაზე:** ზოგადად, რამდენად გაკმაყოფილებთ პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაცია? **დადებითად უპასუხა (სრულად/ნაწილობრივ) 94 %-მა, ხოლო უარყოფითად (იშვიათად/არა) 6 %-მა.**
- **კითხვაზე:** რამდენად შეესაბამება ინფრაქსტრუქტურა, მატერიალური და ტექნიკური რესურსები პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო გარემოს? **დადებითად უპასუხა (სრულად/ნაწილობრივ) 74 %-მა, ხოლო უარყოფითად (იშვიათად/არა) 26 %-მა.**
- **კითხვაზე:** კმაყოფილი ხართ თუ არა ბიბლიოთეკით? **დადებითად უპასუხა (სრულად/ნაწილობრივ) 75 %-მა, ხოლო უარყოფითად (იშვიათად/არა) 25 %-მა.**
- **კითხვაზე:** სარგებლობთ თუ არა ელექტრონული რესურსებით (ელექტრონული ჟურნალები, წიგნები და სხვ.) **დადებითად უპასუხა (სრულად/ნაწილობრივ) 70 %-მა, ხოლო უარყოფითად (იშვიათად/არა) 30 %-მა.**

გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ ფაკულტეტზე გასაძლიერებელი მიმართულებებია:

- დამატებითი მომსახურება (სპორტი და სხვა აქტივობები);
- კონსულტაცია აკადემიური პერსონალისგან;
- ინფორმაციის სიმწირე გაცვლითი პროგრამების შესახებ.